„თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა.
საცა უნდა დაიწყო, იგი ყველგან სჭირობს... ყოველი
სახელმწიფო, რომელსაც სურს ცოცხალი თუ მკვდარი
დაიმკვიდროს, ნაწილ-ნაწილად არის
დაყოფილი, რომ მთელი და
ნაწილობა ადვილი იყოს."

# ხობის მოამბე

№13 (7095) 28 დეკემბერი, ხუთშაბათი, 2017 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

# დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ!

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 40 წელი შეუსრულდა



საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 40 წლის იუბილე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მიულოცა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, 40 წლის იუბილე არის უდიდესი დღესასწაული.

„მინდა, მთელი სულითა და გულით მოგილოცოთ ეს ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი. თქვენი პატრიარქობა სულიერების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი ღვთის მადლია, ხოლო, საერო თვალსაზრისით, არის ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა. უდიდესი მოწიწებით ვიხრი ქედს თქვენი ღვაწლის წინაშე, ჩვენი ერისა და ქვეყნის წინაშე. მინდა, გისურვოთ დღეგრძელობა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თქვენი პატრიარქობის პერიოდში აღორძინდა, განახლდა უამრავი ტაძარი, აღდგა სამონასტრო ცხოვრება, ეს არის უდიდესი დამსახურება თქვენი პირადად. თქვენი ქადაგების დროს თითოეული შეგონება ჩვენს ერს კელაპტრად უნთია და პირადი მაგალითით ყოველთვის გვაძლევთ საფუძველს სათნოების, მიმტევებლობის, ეს არის ჩვენთვის ყველასთვის უდიდესი სიხარულის მომნიჭებელი. კიდევ ერთხელ მინდა, მოგილოცოთ გისურვოთ დღეგრძელობა, ჯანმრთელობა ჩვენი ერის და ჩვენი ეკლესიის გასაძლიერებლად და მრავალჟამიერ გასამხნევებლად".

ილია მეორეს აღსაყდრებიდან მე-40 წელი პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ და საქართველოში ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმაც მიულოცეს.

## სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს!



ძვირფასო ხობელებო და ზუგდიდელებო, თქვენთან თანამშრომლობით ჩვენ შევძელით, რომ გასული წელი ყოფილიყო სიმშვიდის და გამოწვევებთან გამკლავების წელი.

№64-ე მაჟორიტარულ ოლქში ბევრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. იყო ბიუჯეტი სვლებში ინფრასტრუქტურის მხრივ. რამდენიმე სოფელში დაიწყო გაზიფიცირება, მოხდა წყლის სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია, ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის საფარის კეთილმოწყობა. გვქონდა წარმატება სპორტის სხვადასხვა სახეობაში, განათლების სფეროში.

2018 წლიდან თქვენი ჩართულობით, ერთობლივი ძალისხმევით, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით შევძლებთ კიდევ უფრო მეტი სასიკეთო პროექტის განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს თითოეული ოჯახის კეთილდღეობას და ქვეყნის განვითარებას.

გილოცავთ შობა-ახალ წელს! 2018 წელი ყოფილიყოს სიახლის, სიკეთის, წინსვლის და სიხარულის მომცანი!

მშვიდობა და უფლის წყალობა არ მოაკლებოდეს სრულიად საქართველოს!

*ირაკლი (დაჩი) ბერაია,*
*საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი.*



ძვირფასო ხობელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

2018 წელი ყოფილიყოს სიკეთის და ბედნიერების მომცანი. თქვენს ოჯახებს მინდა ვუსურვო კეთილდღეობა, ხვავი და ბარაქა.

ჩვენი ქვეყნის წარმატება თითოეული ჩვენთაგანის შრომაზეა დამოკიდებული. ამისთვის კი საჭიროა ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარი ნიჭი და ენერგია მივმართოთ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნისკენ -ჩვენი სამშობლოს აღმშენებლობისკენ.

2017 წელი, წარმატებული წელი იყო ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის-განხორციელდა არაერთი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი და მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები მოგვარდა. არანაკლებ აქტიური და მნიშვნელოვანი 2018 წელი გველის.

გისურვებთ სიმშვიდეს, ურთიერთსიყვარულს და მომავლის რწმენას. ღრმად მწამს და მჯერა, თქვენი თანადგომით აქტიურად გავაგრძელებთ მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით და ერთად შევქმნით ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს.

*გოჩა ქაჯაია,*
*ხობის მუნიციპალიტეტის მერი.*



ძვირფასო ხობელებო! გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას, მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის შემომცანი ყოფილიყოს 2018 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

განსაკუთრებით მინდა მივულოცო იმ ადამიანებს, რომლებიც დღესასწაულს გაჭირვებაში ხვდებიან, დაე, ეს ახალი წელი ყოფილიყოს მათთვის წინსვლისა და გაძლიერების წელი! მინდა გჯეროდეთ, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, განხორციელდება კიდევ უფრო მეტი ეფექტური და მნიშვნელოვანი მომავლის პროექტები...დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, შრომითა და ურთიერთსიყვარულით, ჩვენ შევძლებთ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ და გავხდეთ თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრები ერთიანი, ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით!

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

*ედიშერ ჯობავა,*
*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.*



ჩემო ხობელებო, თანამემამულეებო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ფეხბედნიერი იყოს იგი თითოეული თქვენთაგანის ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის.

ახალი წლის დადგომა განსაკუთრებით მინდა მივულოცო მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის თითოეულ თანამშრომელს, მათ ოჯახებს.

2018 წელი კიდევ უფრო მიმზიდველი, საინტერესო, მიზანდასახული და ახალი პროექტების განხორციელების წელიწადი ყოფილიყოს.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

*ბორის ბერაია,*
*მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი*

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი დაამტკიცა

### ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა



26 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს სხდომაზე მიღებულიქნა მუნიციპალიტეტისთვის უმთავრესი ფინანსური დოკუმენტი–2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შემოსავლები განისაზღვრა 8256,9 ათასი ლარით, აქედან: გადასახადები 5800,0 ათასი ლარი, გრანტები–2010.0 ათასი ლარი აქედან: 1800.0 ათასი ლარი–გათანაბრებითი ტრანსფერი, 210,0 ათასი ლარი–მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სხვა შემოსავლები 446,9 ათასი ლარი.

ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში უმთავრეს პრიორიტეტად მიჩნეულიქნა სოციალური სფერო, ჯანდაცვის, განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით და სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მომავალი წლისთვის დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

სხდომაზე ასევე დამტკიცდა ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 445900 ლარით, პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ყველა ის პროგრამა, რაც გათვალისწინებული იყო 2017 წელს, ამასთან პროგრამას დაემატა შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) ერთჯერადად დაფინანსება.

ამ და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე ე. ჯობავამ საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ, როგორც პირად ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

2017 წლის საკრებულოს ბოლო რიგგარეშე სხდომა სახელმწიფო ჰიმნის შემდეგ დახურულად გამოცხადდა.

## ჭალადიდში გზის რეაბილიტაცია დასრულდა



ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია განხორციელდა. დასრულებული პროექტი, ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, მერის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი (დაჩი) ბერაიას ბიუროს უფროსმა პლატონ ბერაიამ დაათვალიერეს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წარმოადგენს.

ჩვენ, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ყველა დასახლებას ჰქონდეს მოწესრიგებული გზა. ჭალადიდში ჩატარებულ დასახლების კრებაზე, თქვენ მიერ მთავარ პრიორიტეტად გზისა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დასახელდა. საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის მხარდაჭერით, ორივე ეს პრობლემა მოგვარდა–კეთილმოეწყო გზა და გადაიხურა ბაღი“–აღნიშნა, მოსახლეობასთან შეხვედრისას მერმა გოჩა ქაჯაიამ.

სოფელ საბაჟოში, ერთ კილომეტრ მანძილზე დაიგო ასფალტის საფარი და მოეწყო ეზოებში შესასვლელები. პროექტის ღირებულებამ 271500 ლარი შეადგინა; სამუშაოზე დასაქმებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა.

## წლების უკან დაწყებულ საქმეს არც წელს უღალატა



განათლების, კულტურის და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტში ოთხგზის ყოფილმა მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ ტრადიციას წელსაც არ უღალატა და ადგილობრივებს საახალწლო საჩუქრები გამოუგზავნა.

წლების უკან დაწყებული ქველმოქმედება წელსაც გააგრძელა და 200-მდე ბენეფიციარს მხიარული ახალი წელი გაუთენა.

## ყულევში წყალსადენი სისტემის მშენებლობა დაიწყო



1 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალსადენი სისტემის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. სამუშაოს შპს „არნაბი 21“ ახორციელებს. შუა ხორგის, ქარიატის და ყულევის ადმინისტრაციულ ერეულებში წყალსადენი სისტემის მშენებლობა ორ ეტაპად განხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 920 ათას ლარს შეადგენს. მაგისტრალის სიგრძე 34 კილომეტრია და სამუშაოების დასრულების შემდეგ 2000-მდე მოსახლე სასმელ წყალს მიიღებს.

ასევე, შუა ხორგა-ქარიატა-ყულევის დამაკავშირებელი 16 კილომეტრიანი გზის შენებლობა მიმდინარეობს, სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულება 7 მილიონ 688 ათასი ლარია და მას ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „NEW ROAD“ აწარმოებს.

„დღეს, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო -ყულევის, ქარიატისა და შუა ხორგის მოსახლეობა წყალს ახალი მაგისტრალის მეშვეობით მიიღებს. ეს პროექტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყულევისთვის, რადგან დასახლებაში არსებული წყალი სასმელად გამოუსადეგარია და ადგილობრივ მოსახლეობას წყალი, დღემდე ცისტერნების მეშვეობით მიეწოდება. ყულევის და ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის კეთილმოწყობის და სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო, მაგრამ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად ორივე ეს საკითხი მოგვარდება.

შუა ხორგა–ქარიატა–ყულევის დამაკავშირებელი 16 კილომეტრიანი გზის მშენებლობა მიმდინარეობს, ხოლო წყლის სისტემის მშენებლობას დღეს ჩაეყარა საფუძველი“–ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ ყულევის მოსახლეობას.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

## შუა ხორგაში არხების ამოწმენდის სამუშაოები მიმდინარეობს



ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხების ამოწმენდა მიმდინარეობს. მიმდინარე სამუშაო ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, მერის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი (დაჩი) ბერაიას ბიუროს უფროსმა პლატონ ბერაიამ დაათვალიერეს.

პროექტის შესაბამისად:

4400 მეტრ მანძილზე ამოიწმინდება არხი, მოეწყობა ეზოში შესასვლელები, აშენდება რკინა-ბეტონის მილხიდები. პროექტის ღირებულება 82460 ლარია დასაქმებულია 15 მუშახელი პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მას ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „თაგი“ აწარმოებს.

## სოფელი



**პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში დღესაც დიდი ფაცი-ფუცით კეთდება გზები. დაპირებული საქმეები რეალობად უნდა იქცეს.**

**იანვრიდან სოფელს სიახლეები ელის. სოფელი უსათუოდ უნდა გაძლიერდეს.**

**ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პირველ მაისში მარინე ლაგვილავა.**

***რას გვეტყოდით იმ დაგეგმილ საქმეებზე, რაც სოფელში განხორციელდა. ბევრ სიახლესაც ჩაეყარა საფუძველი...***

–პირველ რიგში მსურს, გაზეთის ამ ნომრით ვისარგებლო და ბატონ გოჩა ქაჯაიას ხობის მუნიციპალიტეტში პირველ მერად არჩევა მივულოცო, ასევე დეპუტატობის კანდიდატებს ვულოცავ გამარჯვებას, საკრებულოს წევრობას და ყველას ვუსურვებ წარმატებებს ხობისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. შემოღობილიქნა საპრივატიზაციო ფართობები დაახლოებით 18 კილომეტრამდე, გაკეთდა ოთხი ხიდ-ბოგირი, ასევე სოფელ საკვიკვინიოში 120 მეტრი ნაპირსამაგრი, 200 ჰექტარზე ჩატარდა სამელიორაციო სამუშაოები: მათ შორის ამოწმენდილიქნა შემკრები არხები, გარემონტდა ქუჩების გარკვეული ნაწილი, ბესიკის ქუჩაზე მიმდინარეობს გზის რეაბილიტაციის სამუშაოები და იგება ცემენტო-ბეტონის საფარი, ამ ქუჩაზე მცხოვრები ყველა ოჯახის შესასვლელში კეთდება ხიდ-ბოგირი, მთლიანად ამოიწმინდა სანიაღვრე არხები.

სოფელ ჭიხუსა და საკვიკვინიოში გრეიდერით დამუშავდა გზების გარკვეული ნაწილი, გარემონტდა რკინის ხიდი, ჭიხუს უბანში შეკეთდა სულხანსაბას სახელობის ქუჩა, ამოიწმინდა ქუჩის გასწვრივ არსებული სანიაღვრე არხი. მონასტრის ასასვლელზე დაიგო ცემენტო-ბეტონის საფარი. გადაიხურა საკრებულოს შენობა და მთლიანად გარემონტდა მეორე სართული, სადაც ბიბლიოთეკა და ახალგაზრდული ცენტრი განთავსდა. აქ ახალგაზრდებს ყველა პირობა აქვთ, იმუშაონ სხვადასხვა პროექტებზე. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო სოფლის საჯარო სკოლის მე-12 კლასელი ლუკა ბუსქანძე, რომელმაც შემოიკრიბა ახალგაზრდების ჯგუფი და ბევრ კარგ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი.

სოფელს ბრწყინვალე ბიბლიოთეკა გააჩნია. მადლიერება მინდა გამოვხატო კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის ბატონ ბორის ბერაიას და მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტის, ქალბატონ ლუიზა ცანავას მიმართ. მათი მხარდაჭერით ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩვენს ბიბლიოთეკას საჩუქრად 400 ეგზემპლარი წიგნი გადასცეს. ამ წიგნებით სკოლის მოსწავლეები და მოსახლეობის ის ნაწილი სარგებლობს, ვისაც უყვარს წიგნი, განახლებული ბიბლიოთეკა ყოველთვის სავსეა ახალგაზრდებით. გამართლდა ჩვენი მიზანი–ახალგაზრდობა დაუბრუნდა წიგნს.

# „მოსახლეობის ინტერესთა დაცვა არის და მომავალშიც იქნება ჩემი უპირველესი გამოწვევა“

***ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, პირველ მაისში ექსესების გარეშე ჩატარდა, რაც იმედია, ახალი წარმატების გარანტი გახდება.***

***ახლადარჩეული დეპუტატი და თქვენ, მჯერა კარგი ტანდემი იქნებით და პრობლემებსაც, საერთო საქმის საკეთებლად, ერთობლივად, დადებითად გადაჭრით.***

–მართალია, ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში არჩევნებმა ყოველგვარი ექსესების გარეშე ჩაიარა. ერთი განაცხადიც არ შემოსულა დარღვევების თაობაზე საუბნო-საარჩევნო კომისიაში, საზოგადოებამ ნამდვილად გააკეთა თავისი არჩევანი, აირჩია ადამიანი, რომელსაც სოფელში იცნობენ, როგორც წესიერ, პატიოსან ადამიანს. ეს პიროვნება გოჩა ჯობავა გახლავთ. მეიმედება ის და ვფიქრობ, ჩვენ ერთად, ერთობლივად, ბევრ ისეთ საკითხებს გადავწყვეტთ, რომლის აუცილებლობაც იქნება. მოსახლეობის ინტერესების დაცვა და მათი კეთილდღეობისთვის ზრუნვა იყო და მომავალშიც იქნება ჩემი უპირველესი გამოწვევა და საზრუნავი, იმედი მაქვს, ამას აუცილებლად შევძლებ.

***დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებაზე თქვენ რა აზრის ბრძანდებით?***

–ნამდვილად აქტუალური თემაა. ასეთი პროექტით საპენსიო რეფორმა, მიღებულია ბევრ ქვეყანაში. გარკვეული ასაკის შემდგომ (40 წლამდე) პიროვნებები წლების განმავლობაში იხდიან გარკვეულ თანხას ხელფასებიდან, საპენსიო ასაკის დადგომისას ასაკის პენსიიდანაც გარკვეული პროცენტები ემატება დაგროვილს... და ასე გრძელდება. საჭიროებისას ყველას შეუძლია მისი გამოტანა... ეს პროცესი ნებაყოფლობით ხდება და ვგონებ, მისაღებიცაა. რაც საზოგადოებამ უნდა გაითავისოს. ამ თემას გარკვევა და დამუშავება სჭირდება.. იმედია, გაამართლებს, ამით პენსიონერს ასაკში შეჭირვებული არ ერქმევა. მინდა, ვისარგებლო თქვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილიდან „საპენსიო რეფორმა ღირსეული სიბერის გარანტი“, სადაც ქალბატონი მარინა ახალაია ზუსტად, მკითხველის გასაგებ ენაზე განმარტავს ამ კანონ-პროექტის მიზანსა და მნიშვნელობას და მოსახლეობა დავარწმუნო იმაში, რომ ამ კანონპროექტში ყველაფერია გათვლილი დასაქმებულებსა თუ დაუსაქმებლებზე, ფულის ინფლაციაზე, პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევებზე და ა.შ. ამისთვის მინდა, მადლობა გადავუხადო ამ თვალსაზრისის ავტორს ასეთი ამომწურავი ინფორმაციისთვის (გაზეთი „ხობის მოამბე“ №12 2017 წელი).

***პერსპექტიულ მომავალზე გვესაუბრეთ. როდის დაიწყება სოფლის სრულყოფილი გაზიფიცირება და მაგისტრალური სასმელი წყლით მომარაგება? მას წელსაც მოელოდა მოსახლეობა?***

–2018 წელს პირველ მაისში ბევრი სასიცოცხლო და მნიშვნელოვნად აუცილებელი პროექტები განხორციელდება. კერძოდ, პირველ კვარტალში დაიწყება გაზიფიცირება (ზედა უბანში 88 ოჯახს უკვე აქვს გაზი). ახალი წლის შემდეგ დაიწყება წყლის მაგისტრალის მშენებლობა. პროექტი მზადაა და დაფინანსებას ელოდება. ასევე დღის წესრიგში დგას პირველი მაისი-ზუგდიდის სოფლებთან შემაერთებელი გზის რეაბილიტაცია. პროექტი განხორციელების მოლოდინშია და 3 კილომეტრზე დაიწყება ცემენტო-ბეტონის საფარის დაგება.

***ცენტრალურ და სხვა გზებზე რას იტყოდით? იქნებ გაქვთ ინფორმაცია იმაზე, ეშველება თუ არა იმ ღელეებს, რომლებიც უხვი ნალექისას კალაპოტიდან გადმოდის და მოსახლეობას ტბორავს?***

–გაკეთებული ბევრია, მაგრამ გასაკეთებელიც ძალიან ბევრი რჩება. ვცდილობთ, აუცილებელი გადასაწყეტი საკითხები დავალაგოთ პრიორიტეტების მიხედვით და გადავწყვიტოთ ეტაპობრივად. ის ღელეები, რომლებიც მთიდან ჩამოედინებიან, წყალდიდობისას ჩამოაქვთ დიდი რაოდენობით ინერტული მასალა, რომლებიც ხელს უშლიან წყლის გადინებას, გადადიან კალაპოტიდან და ტბორავენ მიმდებარე ოჯახებს, რაც გაუსაძლისია. ასეთია ტრასაზე გამდინარე არხები. მინდა გითხრათ. ამდენმა წვიმებმა მთლიანად მოშალა ღელეების ინფრასტრუქტურა. ასეთივე მდგომარეობაა საჯობაოს უბანში. იმ ოჯახებს, რომლებიც მდინარის პირას მდებარეობენ, აუცილებლად სჭირდებათ ნაპირსამაგრები, რათა საცხოვრებელ სახლებს ზიანი არ მიადგეთ. პრობლემები უამრავია და ვეცდებით ისინი ეტაპობრივად გადავწყვიტოთ.

გზების ზედამხედველობის სამსახურმა დაიწყო და მთავრდება ცენტრალური მაგისტრალის გარემონტება, რომელიც ასევე ითვალისწინებს გზის გასწვრივ არსებული სანიაღვრე არხების და არსებული ხიდ-ბოგირების გაწმენდას. ეს აუცილებლად, ალბათ, მალე გაკეთდება, რათა ზამთარში მოსახლეობა ჭარბმა ნალექმა არ დააზარალოს. პრობლემის მოგვარება ჩემთვის ძალზე პრიორიტეტულია.

***წელს სოფელში კიდევ ერთი დაფნის მიმღები და დამფასოებელი საწარმო ჩადგა მწყობრში, მაინტერესებს, მისმა მესაკუთრეებმა თუ დაასაქმეს პირველმაისელები? ე.ი ცოტათი მაინც თუ შემცირდა უმუშევრობის დონე სოფლად?***

–სოფელში 4 დაფნის დამფასოებელი საამქროა. თითოეულში დაახლოებით 50-60 ოჯახია დასაქმებული. ასევე მალე გაიხსნება მასშტაბით დიდი საამქრო, სადაც დაახლოებით 80 ოჯახი დასაქმდება. ვფიქრობ, უმუშევრობას ნელნელა ეშველება და მოსახლეობა შვებით ამოისუნთქავს.

***როგორი შემოდგომა ჰქონდათ თანასოფლელებს? ძალიან ხომ არ დააზარალა „ფაროსანამ“ საყანე ფართობები მიუხედავად თქვენს მიერ დარიგებული წამლებისა და ბადეებისა?***

–სოფელში ფაროსანას შიშით, ცუდ მოსავალს ველოდებოდით, მაგრამ დროული შეწამლვით მოსახლეობამ საპრივატიზაციო ფართობებიდან შედარებით კარგი მოსავალი მიიღო. ყველაფრის მიუხედავად, ხალხი კმაყოფილია. გაზაფხულზე ადრიდანვე დაიწყება შეწამლვითი სამუშაოები, რათა ბოლომდე შევძლოთ ამ მავნე მწერის განადგურება.



***როგორი განწყობით უყურებთ მოახლოებულ მომავალ წელს, რას ეტყვით და ურჩევთ მოსახლეობას, მომავალ წელს რითი გაახარებთ მათ?***

–უკეთესი ცხოვრების პირობების იმედებით მოველით დამდეგ 2018 წელს. არჩეული გუნდი ერთად დავდგებით და ვეცდებით შეუძლებელი შევძლოთ. მაქსიმალურად ვეცდებით, ეტაპობრივად გადავწყვიტოთ ის ვალდებულებები, რომელიც ჩვენს წინაშეა დასახული.

რეგიონში წარმატებული მუნიციპალიტეტი იქნება ხობი და მისი სოფლები, მერის, საკრებულოს თავმჯდომარისა და მთლიანი გუნდის დახმარებით შევძლებთ ყველა პრობლემის მოგვარებას.

ვისურვებდი, თითოეული თანასოფლელისთვის, ხობის მოსახლეობისა და სრულიად საქართველოსთვის მომავალი წელი კარგი და წარმატებული ყოფილიყოს.

გეტყვით, რომ ჩემს თანასოფლელებს დიდად ვემადლიერები გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის.

ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს ჩემი სოფლის თითოეულ ოჯახს, უფალმა გაუმრავლოთ სიხარული, ბედნიერება, უხვი და ბარაქიანი წელი ყოფილიყოს ყველასთვის. იხარონ და იდღეგრძელონ.

**ესაუბრა**
**ნანი კილასონია**

## ხობის საპატიო მოქალაქეები



მას საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს, სიტყვის „გალაღება" მისი თვისება არ არის... განათლებული, რომ იტყვიან, ლამაზი და ახოვანი მამაკაცი, ისე შეისისხლხორცა და შეითავისა ხობმა და ხობელებმა, რომ წელს „ცოტნეობის" ტრადიციულ დღესასწაულზე ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

მაშინ უფრო გამოიკვეთა, რომ ამისთვის თურმე ოფიციალური დასტური ყოფილა საჭირო, თორემ „საპატიო" კარგა ხნის წინათ გამხდარა...

მგონია, მეთანხმება, რომ ხალხის სიყვარულზე დიდი ჯილდო არ არსებობს. მიხარია და, სიმართლე გითხრათ, მეამაყება, რომ მისი მეუღლე, ლამაზი, სათნო, ჭკვიანი და ორი კარგი ვაჟკაცის გამზრდელი დედა ჩემი ახლობელია. მე, რათქმა უნდა, საქებარი და მოსაფერებელი სიტყვები არ დამელევა, მაგრამ მკითხველთან რომ პირნათელი ვიყო, შელამაზების გარეშე მინდა გავაცნო მასთან საუბრის ჩანაწერი. არჩევანი ჩემია, განსჯა–თქვენი. ერთ რამეში შეხედულებების თანხვედრა აუცილებლად გვექნება ირაკლი გეთია–თავისი საქმის პროფესიონალი, პატიოსანი, განათლებული, ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება. მასთან საუბარი სასიამოვნოა. ამჯერად მინდა კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მის ლამაზ ცხოვრებას და ვიამაყოთ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეებით, იმედით, უკეთესი მომავლის რწმენით შევხვდეთ დამდეგ ახალ წელიწადს...

# უკეთესი მომავლის რწმენით შევხვდეთ დამდეგ ახალ წელიწადს...

შტრიხები ირაკლი გეთიას ბიოგრაფიიდან: დაიბადა 1961 წლის 18 სექტემბერს, ქ. სენაკში. ვერცხლის მედალზე დაამთავრა სენაკის №1 საშუალო სკოლა, ასევე წარმატებით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტი–სპეციალობით კავშირგაბმულობის ეკონომიკა და ორგანიზაცია. შემდგომ დაუსწრებლად ჭადრაკის უნივერსიტეტი მწვრთნელ ინსპექტორის სპეციალობით. ორჯერ გაიარა ყოფილი საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან არსებული კურსები და მიიღო ლიცენზია „უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელ-ინსპექტორი ჭადრაკში".

წოდება, ტიტულები: ეროვნული ოსტატი, ფიდეს არბიტრი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე და მწვრთნელი, „ღირსების ორდენის" კავალერი. ოთხჯერ იქნა დასახელებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის №1 მწვრთნელად ჭადრაკში", სამჯერ შევიდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ნომინაციაში 3 საუკეთესო მწვრთნელი ბავშვთა ჭადრაკში.

ხობის ყოფილი სასპორტო სკოლის უფროსი მწვრთნელ-ინსპექტორი და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მწვრთნელ მასწავლებელი ჭადრაკში.

***ბატონო ირაკლი, მოგვიყევით უფრო ვრცლად თქვენს პირად და ოჯახურ წარსულზე.***

–რა გითხრათ, დავიბადე მაღალზნეობრივი იდეებით, ტრადიციებით განთქმულ გიორგი გეთიას და შუშანა შამათავს ოჯახში. დედ-მამა უზარმაზარ სულიერ ტვირთს ატარებდნენ ცხოვრებაში და დღესაც მიკვირს, როგორ გაუძლეს ყოველივე ამას. ჩემმა ოჯახმა განიცადა ყოველივე ის, რაც დღესაც შავ-ბნელ ლაქად რჩება საქართველოს წარსულში.

მამა 30 წლის ასაკში სოფელ ზანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მავანთა დაბეზღებით რეპრესირებულიქნა 12 წლით პატიმრობა მისჯილი. საბაბი გახლდათ ვითომ მისი კავშირი კალანდარიშვილებთან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდნენ. მამას ამ თემაზე საუბარი არ უყვარდა... რეაბილიტაციის შემდეგაც ერთგულად ემსახურა სამშობლოს და შურისძიებაზე არასოდეს უფიქრია. ამ ბნელი საქმის სავალალო შედეგი კი ის გახლდათ, რომ ამ დევნაში, ათას გაჭირვებასა და უბედურებაში დაიღუპნენ ჩემი დები–მზისადარი და ნელი. ძველებიდან ხშირად მსმენია, რომ ეს ბავშვები იყვნენ სოფლის თვალი და იმედი.

ოჯახისთვის ამ ურთულეს პერიოდში, 1958 წელს დედ-მამა საცხოვრებლად გადმოვიდნენ სენაკში, 1961 წელს დავიბადე მე. როგორც ერთადერთს, მშობლები მეტისმეტად მანებივრებდნენ. ეკონომიკურად საკმაოდ ნორმალურად ვცხოვრობდით.

მასწავლიდნენ უფროსებისადმი მორჩილებას, მეგობრისადმი უანგარო დახმარებას, სიყვარულს. არასოდეს დამავიწყდება დედაჩემის სიტყვები: შვილო, ყოველთვის იამხანაგე ისეთ ბავშვებთან, რომლებიც არ არიან პრივილიგებულნი არც მატერიალურად და არც სხვა რამით, ისინი შენი ცხოვრების თანამგზავრნი გახდებიან და შენთან ერთად ივლიანო.

თამამად შემიძლია ვთქვა, ძალზედ კარგი მოსწავლე ვიყავი, მანამ სპორტი არ ჩაერია ჩემს ცხოვრებაში, საერთოდ ჩვენი თაობა სპორტული გახდათ. ვთამაშობდით ყველაფერს: ფეხბურთს, კალათბურთს, ხელბურთს, ფრენბურთს, ჭადრაკს, ვჭიდაობდით, ვცურავდით, დავრბოდით და ა.შ. გული მტკივა დღევანდელ თაობას, სახლში გამოკეტილებს და კომპიუტერზე მიჯაჭვულებს რომ ვუყურებ.

გარკვეული მონაცემები მუსიკაშიც მქონდა, დავდიოდი ფორტეპიანოს კლასში ვიდრე ჩემს ცხოვრებაში არ გამოჩნდა ჩემი აღმზრდელი პედაგოგი–საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭადრაკში მიხეილ ქურდოვანიძე. სწორედ მისი ლომის წილია, რომ დღეს ამ პოზიციაზე ჭადრაკში ვარ. სწორედ მან დაინახა ჩემში მომავალი მოჭადრაკე და მწვრთნელი. მისი დაჟინებული მოთხოვნით დავიწყე მუშაობა მწვრთნელად და მიუხედავად იმ მძიმე საქმიანობისა, რაც მწვრთნელის ყოველდღიურ ტიტანურ შრომას უკავშირდება. დღემდე არ ვნანობ, რომ მიშა მასწავლებელს არ ვუმტყუნე.

იმ პერიოდში ჭადრაკის ბუმი გახლდათ ნონას და მაიას ქვეყანაში. ჩვენი მცირე წარმატებები რა მოსატანია, მაგრამ ვცდილობდით, რომ მაღალ პროფესიონალურ დონეზე აგვეყვანა ჭადრაკი. დღესაც ბედნიერი ვარ, რომ ვმეგობრობდი და ვასპარეზობდი ისეთ საჭადრაკო კორიფეებთან, როგორებიც არიან: მაია ჩიბურდანიძე ნანა იოსელიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, იგორ ეფიმოვი, ლაშა ჯანჯღავა, ხვიჩა სუპატაშვილი, ამირან ბერძენიშვილი, გოჩა თორია, გოჩა ტყებუჩავა, დათო ჩაჩიბაია, ზურაბ ლიფონავა, მერაბ ჯღამაძე და სხვები. ხობელი მოჭადრაკეებიდან ვმეგობრობ და ძალზედ ვაფასებ მუნიციპალიტეტის მრავალგზის ჩემპიონს ბადრი ლომაიას, რომლის ღვაწლი მუნიციპალიტეტის საჭადრაკო ცხოვრებაში განუზომელია.

ჩემი სისუსტე და მეორე ჰობი იყო კალათბურთი. ვიყავი სპორტსკოლის და ფაკულტეტის ნაკრები გუნდის მწვრთნელი, მითამაშია ისეთი კალათბურთელების გვერდით, როგორებიც იყვნენ ვოვა ძიძიგური და ანდრეი ბელოზერსკი (დინამო თბილისი). რამაც ჭადრაკში მეტის მიღწევაში შემიშალა ხელი. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ ადამიანმა ერთდროულად ორი საქმე არ უნდა აკეთოს, რასაც ჩემს მოსწავლეებს დღემდე ვუჩიჩინებ.

***როგორ, საიდან მოხვდით ჩვენს ქალაქში და როდის დაიწყეთ მწვრთნელობა?***

–უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას ე.წ. საწარმოო პრაქტიკაზე მოვხვდი ხობის სპმკ №17 კოლონაში, რომელიც რეგიონში კავშირგაბმულობის დარგს ემსახურებოდა და სადაც დამხვდა ხობში ჩემი პირველი ნათლია და ცხოვრების მეგზური, ხობის კოლორიტი პიროვნება ბატონი ვოვა დიდიშვილი, რომელიც მე არა როგორც ხელმძღვანელი, არამედ როგორც უფროსი მეგობარი ისე მეპყრობოდა: სწორედ მან შემაყვარა ხობი და ხობელები. დამაკავშირა და დამამეგობრა რაიონში სახელგანთქმულ სხვადასხვა თაობის ადამიანებთან, რითაც დღემდე ვამაყობ. ხობი და ხობელები ჩემთვის ბავშვობიდანვე უცხო არ ყოფილა, ჩემი ოჯახის ახლო ნათესავია ცნობილი ბიზნესმენის თამაზ ბასილაიას ოჯახი. ნათესავები გვყავდა ხიბულაში, ქვემო და ზემო ქვალონში, ხობში.

ხობსა და ხობელებისადმი სიყვარულისა და ერთგულების ნათელი დადასტურებაა ის, რომ ჩემი ცხოვრების მეგზური და მეუღლე ნატო ხელაია ქვემო ქვალონის მკვიდრია. და საერთოდ, იმ 34 წლის მანძილზე რაც ჩემს უსაყვარლეს ხობს და ხობელებს ვემსახურები, არასოდეს ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ ოდესმე ხობს დავტოვებდი და სხვაგან, ვთქვათ, მშობლიურ ქალაქში ან დედაქალაქში გადავიდოდი სამუშაოდ, თუმცა არ დავმალავ და მრავალი შემოთავაზება და „გადაბირებების" მცდელობა იყო. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ადამიანმა იქ უნდა აკეთოს თავისი საქმე, სადაც მისი ფესვია, მისი შრომაა ჩადებული, სიყვარული და აღიარებაა მოპოვებული. ესეც საკმარისია იმისთვის, რომ კაცად იწოდებოდე.

სამწვრთნელო საქმიანობა კი 1983 წელს დავიწყე ხობის სპორტსკოლისა და პიონერთა სახლში, რომელსაც ღვაწლმოსილი და გულისხმიერი ადამიანები ნიკოლოზ (რობიკო) ჭითავა და ლუდმილა დოლბაია ხელმძღვანელობდნენ. 3–4 წელი ორივეგან, კავშირგაბმულობასა და ჭადრაკშიც ვიმსახურე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ორი საქმის ერთად კეთება არ შემეძლო, თან საჭადრაკო საქმიანობა უკეთ გამომდიოდა.

***როგორი გაგრძელება ჰქონდა ამ საქმეს?***

–ია-ვარდერბით არ ყოფილა მოფენილი ჩემი პირველი ნაბიჯები, მაგრამ ერთი პლუსი ყოველთვის მქონდა, რაც ყველაზე მეტად გამომადგა. არ მრცხვენოდა იმისა, სხვებისგან მესწავლა, არ ვთაკილობდი პატარა ბავშვივით სხვის ლექცია-სემინარებზე ჯდომას, სმენას, სწავლას. ბევრი სასარგებლო რჩევა-დარიგება მიმიღია ჩემი უფროსი კოლეგებისგან, დამსახურებული ადამიანებისგან, რომლებიც ბევრჯერ და ბევრგან გამომადგა.

პირველი სერიოზული წარმატება, როგორც მწვრთნელისა, დაკავშირებულია დღეს უკვე ჩემს უმცროს მეგობარ პირადად ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის უსაყვარლეს და უერთგულეს პიროვნება ზურაბ ტყებუჩავასთან. ხობელთაგან ის პირველად. ოთხჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში სხვადასხვა ასაკში. პირველმა რეგიონში მიიღო საერთაშირისო ოსტატის მაღალი წოდება, გახდა მსოფლიო ახალგაზრდული საჭადრაკო ოლიმპიადის (თურქეთი) ვერცხლის პრიზიორი საქართელოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. მოიგო საერთაშორისო რეიტინგი საჭადრაკო ტურნირი და საერთოდ, მას და მის შესანიშნავ ოჯახს მუდამ ჩვენს გვერდში მდგომი ქველმოქმედის და მეცენატის ბატონ იგორ ტყებუჩავას წინამძღოლობით უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ხობის და საერთოდ, ქართული ჭადრაკის განვითარების კეთილშობილურ საქმეში. ზურაბმა პირველმა ხობის სპორტის ისტორიაში დაიცვა მშობლიური რაიონის ღირსება მსოფლიო ჭაბუკთა ჩემპიონატზე (გერმანია).

მეორე სერიოზული წარმატება კი უდაოდ გახლდათ დამოკიდებული საქართველოს ისტორიაში პირველი საკლუბო ჩემპიონატის ღირსეულად მოგება და ევროპის ქვეყნების ჩემპიონატთა საგზურის მოპოვება. ხობის კოლხეთმა (გენადი ზაიბიკი, ლაშა ჯანჯღავა, გოჩა ტყებუჩავა, ზურაბ ტყებუჩავა, რამაზ ტყებუჩავა, ლაშა შამათავა, გულად დგებუაძე მწვრთნელი ირაკლი გეთია, პრეზიდენტი იგორ ტყებუჩავა) პირდაპირ ურაგანივით გადაუარა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის წამყვან საჭადრაკო გუნდებს და ღირსეულად გახდა ჩემპიონი.

მერე კი დაიწყო და კარგა ხანს გაგრძელდა უმძიმესი პერიოდი არამარტო ჩვენი რაიონის საჭადრაკო ცხოვრებაში არამედ სრულიად საქართველოში, რაც ბუნებრივია შედეგზე აისახა, თუმც იმ პერიოდშიც (1992-2002 წლები), რომელსაც შევარდნაძის ხანად მოიხსენიებენ ფაქტიურად უსახსრობის ნიადაგზე და ენთუზიაზმის ხარჯზე იყო გარკვეული გამონათებები ცალკეული ნიჭიერი წარმატებული მოსწავლეების წყალობით. ***სიამაყით ვიხსენებ მათ სახელ-გვარებს: ალიკა კორტავა, გოგა კაცია, მარიამ კანკია, ლაშა გერგაია, ომარ გელაშვილი, ირაკლი გოგენია და საქართველოს პირველი ჩემპიონი 7 წლიანთა შორის ნიკა კვირტია. განსაკუთრებით გამოსარჩევია მარიამ კანკია და ლაშა გერგაია. პირველი რუსეთში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ გახდა რუსეთის გოგონათა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ლაშა გერგაია კი ითვლებოდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრად და გააჩნდა იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი საერთაშორისო რეიტინგი 2440.***

***როდის დაიწყო აღმავლობა ე.წ. ხობის ჭადრაკის რენესანსი, რომელსაც ლოგიკურად ქართული საჭადრაკო სამყაროს კაბადონზე ახალი ვარსკვლავის დიანა ლომაიას გამოჩენა და არნახული წარმატება მოჰყვა?***

–დიანა ჩემი სიამაყეა, ჩემი საჭადრაკო შემოქმედების გვირგვინი, ჩემი შვილების პატარა და, ქართული ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავი, რომელიც მჯერა კიდევ ბევრჯერ ასახელებს საქართველოს, მაგრამ ამ წარმატებების ფესვები ცოტათი ადრე გაიდგა, კერძოდ 1996 წელს დაბადებული თაობიდან, რომლის ავანგარდში იდგნენ ტყუპი დები, ეროვნული ოსტატები მარი და მეგი ჭაჭიები, რომლებიც 2006 წელს გახდნენ რა საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატის პრიზიორები, მოიპოვეს მსოფლიო 10 წლიანთა ჩემპიონატის

>>>>>>>>>>>> 5

# უკეთესი მომავლის რწმენით შევხვდეთ დამდეგ ახალ წელიწადს...

4

საგზური და იქ თავი არ შეირცხვინეს.

ასევე უდაო, ჩვენი საჭადრაკო სკოლის ჭეშმარიტი დიდების უნიჭიერესი ნოჯიხეველი ყმაწვილის ამირან შონიას უდიდესი ღვაწლი. მან პირველმა ხობელთაგან ევროპის ჩემპიონატზე დაიკავა საპატიო მე-6 ადგილი, რაც დიანა ლომაიას შემდეგ მსოფლიო და ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე საუკეთესო შედეგად ითვლება. არის საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატის პრიზიორი. ამირანის მაგალითზე ესტაფეტა აიტაცეს დიმიტრი ლომაიამ, გიორგი ლატარიამ და ლუკა შამუგიამ, დიანას უფროსი ძმა დიმიტრი ძალზედ ნიჭიერი, ორიგინალური სტილის მოჭადრაკე გახლდათ, მაგრამ ზოგჯერ მეტისმეტად ფეთქებადი თამამ სარისკო გადაწყვეტილებებს იღებდა, რასაც ზოგჯერ შეცდომები მოსდევდა და არასტაბილურობაში აისახებოდა. თანაც სკოლაში გამორჩეული საუკეთესო მოსწავლე იყო და ირივე საქმიანობისთვის დრო არ ეყო.

გიორგი ლატარია, რომელიც დღესაც წარმატებით იცავს მშობლიური ქალაქის ღირსებას, საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ არენაზე, უდაოდ ნიჭიერი მოიჭადრაკეა. არის ეროვნული ოსტატი ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატების მონაწილე, მრავალი რესპუბლიკური, საერთაშორისო და რეგიონალური ჩემპიონატების გამარჯვებული და პრიზიორი.

ლუკა შამუგია კი უდაოდ ცალკე თემაა საჭადრაკო ცხოვრებაში. მე არ მყოლია ჭაბუკებში ასეთი ნიჭიერი, მიზანდასახული, შეუპოვარი სტაბილური მოჭადრაკე, როგორიც ლუკაა, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით წარმატებებისკენ. ლუკამ მოიგო უამრავი საერთაშორისო და რეგიონალური ტურნირები, გახდა ეროვნული ოსტატი, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ლუკას უფრო დიდი პერსპექტივები ესახებოდა, მაგრამ მე აღმომაჩნდა ჯანმრთელობის პრობლემები, სამი თვე ვერ შევძელი ვყოფილიყავი ჩემს აღსაზრდელთან ერთად. სწორედ ამ პერიოდში შეძლეს ლუკას გადაბირება სხვა მწვრთნელებმა, სამწუხაროდ, მათ ვერ შეძლეს მისთვის რაიმე სიკეთის მიცემა, პირიქით, შედეგები მკვეთრად გაუარესდა, რამაც მისი ჭადრაკიდან წასვლა დააჩქარა.

***ბატონო მამუკა, მოდით თანამედროვე რელსებზე გადავერთოთ, უახლოეს დროს რა ხდებოდა და რა ხდება დღეს?***

–დავიწყებ, იქიდან რომ 2010 წელს მოვიდნენ ჭადრაკში ანა კვიკვინია და დიანა ლომაია, ისინი ჩემი მეგობრების შვილები არიან და სიყვარულიც და პასუხისმგებლობაც მათ მიმართ ორმაგი გახლდათ. ანამ, ცოტა მძიმედ დაიწყო, თავიდან ჭადრაკი გულზე არ ეხატებოდა მაგრამ ოჯახის თანადგომით და დიდი შრომით შევძელით მისგან ძალიან კარგი მოჭადრაკე აღგვეზარდა. ანას მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზზე და ბევრჯერ ასახელა მშობლიური ხობი.

დიანაზე კი ლაპარაკი არ მომბეზრდება, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მოსწავლე შემახვედრა უფალმა, ამაყი ვარ იმ წლების, რაც მასთან ერთად შრომასა და ძიებაში გამიტარებია. ჩემთვის მასთან ყოველდღიური ვარჯიში ნამდვილი ზეიმი იყო.

ჩემი ქება რად უნდა იმას, რაც ამ პატარა, ციცქნა, ულამაზესმა გოგონამ ხობს მოუპოვა. ორი ევროპის თასი, ევროპის ჩემპიონატის ნომინანტობა V ადგილი, მსოფლიო ჩემპიონატის ნომინანტობა, საუკეთესო ათეული, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, უამრავი საერთაშორისო და რესპუბლიკური ჩემპიონატების გამარჯვებული.

ვფიქრობ, თუ სწორად წარიმართა მასთან მუშაობა და უმაღლესი რანგის დიდოსტატები ითანამშრომლებენ, ქართულ ჭადრაკს მისი სახით დიდი ძალა შეემატება.

თემო კვიკვინია 5 წლის იყო, როცა მამამ ჩემთან მოიყვანა, თავიდანვე თან დაჰყვა ნიჭი, შრომისმოყვარეობა, სიყვარული ჭადრაკისადმი. ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ თემოსთან ერთად უამრავ წარმატებებს მივაღწიე. იგი ჩვენი სახელით გახდა საქართველოს 2 გზის ჩემპიონი, მოიგო უამრავი ტურნირი. არის მიზანდასახული, შეუპოვარი მოჭადრაკე. ყველასგან გამორჩეული, ამბიციური, რაც ვფიქრობ მის არამარტო საჭადრაკო, არამედ მთლიანად ცხოვრებაზე აისახება და ძალზედ წინ წავა.

დღეს ჩემთან მომეცადინე ბავშვებიდან, განსაკუთრებით გამოვყოფდი ზემოთ ნახსენებ გიორგი ლატარიას, ნიკა ბუკიას, ლიკა ჭანტურიას, მარი ლაგვილავას, დაძმების ნინი, ნიკა, სანდრო დოლბაიებს.

არ შემხვედრია იმაზე ნიჭიერი მოსწავლე, როგორიც ნიკა ბუკიაა, მან ბევრჯერ გვასახელა, მაგრამ მეტიც შეუძლია და წინ დიდი წარმატებები ელის.

სტაბილური მოჭადრაკეა ლიკა ჭანტურია, მანაც ბევრჯერ გვასახელა, მარტო ის რად ღირს, რომ მან საქართველოს სასკოლო ჩემპიონატზე II საპრიზო ადგილი დაიკავა. ვფიქრობ მისი შედეგები გაიზრდება.

უდაოდ ნიჭიერია 9 წლის მარი ლაგვილავა, რომელიც ახლა დგამს პირველ სერიოზულ ნაბიჯებს. ვფიქრობ, რომ მას კარგი საჭადრაკო მომავალი აქვს.

დასაფასებელია ის ნიჭი, მონდომება და ჭადრაკისადმი სიყვარული, რასაც ხორგელი დაძმა ნინი, ნიკა და სანდრო დოლბაიები იჩენენ.

***დაასახელეთ ის ადამიანები, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენს გვერდით იყვნენ და ვისი მადლიერიც ბრძანდებით?***

–პირველ რიგში დავასახელებდი იმ ადამიანებს, რომელთა გარეშე ხობში ჭადრაკი არ იქნებოდა და არც იარსებებდა, პირველ რიგში ისინი, ვინც წლების განმავლობაში კურირებდა და საიმედო ფრთის ქვეშ იფარავდა ჭადრაკს, ზემოთნახსენები რობიკო ჭითავა და ლუდა დოლბაია, აზა თათარიშვილი (მოჭადრაკეებზე გადაყოლილი მზრუნველი დედა, რომელმაც 25 წლის მანძილზე უერთგულა და პატივი სცა ირაკლი გეთიას და მის ამქარს, მის ხელში უამრავი სახელოვანი მოჭადრაკე დაფრთანდა) ცხონებული ანზორ სანიკიძე, ლევან ლემონჯავა, ზურაბ ლატარია.

პარტიული ფუნქციონერები და განათლების, კულტურისა და სპორტის კურატორები: ნუგზარ ნადარაია, რაულ ჯახია, თემურ გერგაია, იგორ ტყებუჩავა, მამუკა ჭოხონელიძე, შალვა ხარებავა, ჯულიეტა ქვარაია, ფერიდე გოგია, რალა ჩემია. საქართველოს პარლამენტში ყოფილი და ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატები გოდერძი ბუკია და ირაკლი (დაჩი) ბერაია.

ჩემი მუშაობის პერიოდში აღზრდილი გვყავს უამრავი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და მაღალთანრიგოსანი მოჭადრაკეები. მათში გამორჩეულები: ბესიკ ნაჭყებია, დათო ხარებავა, მალხაზ იოსავა, დათო ქირია, კობა კვიკვინია (ჩვენი სახელგანთქმული მოჭადრაკეების თემო და ანა კვიკვინიების მამა), მარინა ლომაია, გულად დგებუაძე, და-ძმა ლაშა, დემნა, ლელა, ბელა შამათავები. და-ძმა ალიკა და მარიკა კორტავები. გოგა კაცია, თეონა თოდუა, დათო ქაჯაია, ირაკლი ქუთათელაძე, ლაშა გერგაია, ომარ გელაშვილი, ხვიჩა და გია გვასალიები, ზვიად სანაია, ირაკლი გოგენია, დიმიტრი ცაგურია (აფხაზეთის ომის გმირი).

მოჭადრაკეები, რომელთაც კიდევ უფრო გაუთქვეს მწვრთნელს სახელი, გავიდნენ რა საერთაშორისო ასპარეზზე და საქართველოს ნაკრები გუნდის ღირსება დაიცვეს მსოფლიო და ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე აი ისინიც: ძმები ზურაბ და რამაზ ტყებუჩავები. ტყუპი დები მარი და მეგი ჭაჭიები, ამირან შონია, და-ძმა დიანა და დიმიტრი ლომაიები. გიორგი ლატარია, ლუკა შამუგია, მერაბ დოლბაია, და-ძმა ანა და თემო კვიკვინიები. ნიკო, ნოვარ, გიორგი შონიები.

***თქვენ მოგენიჭათ ხობის საპატიო მოქალაქის წოდება, რას ნიშნავს ეს თქვენთვის?***

–მიუხედსავად იმისა, რომ სახელმწიფომ ჩემი მოკრძალებული შრომა სათანადოდ დააფასა (ამის დასტურია ღირსების ორდენი, დამსახურებული მოღვაწე მწვრთნელი და სხვა) ვთვლი, რომ ეს წოდება ჩემთვის უპირველესია, იმიტომ რომ, აქ ჩადებულია მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემთვის უსაყვარლესი ხობის და ხობელების ერთგულება და პატივისცემა ჩემდამი ჩემი ოჯახის, ჩემი მოსწავლეების, მეგობრების და საერთოდ, ჭადრაკის მიმართ.

***ვიცით, რომ თქვენს ოჯახს ბევრი ხობელი იცნობს და მეგობრობს.***

–ერთი ჩვეულებრივი წესიერი ოჯახი მაქვს, რომელიც მრავლადაა საქართველოში, მეუღლე ნატო ხელაია, მედდა, დღეს ოჯახის დიასახლისია, ორი ვაჟი კი იურისტია, უფროსი გიორგი თბილისში იურიდიული ფირმის მთავარი იურისტია, უმცროსი ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს ამ სფეროში. რომ არა ოჯახის გვერდით ყოფნა ჩემს არც თუ ადვილ საქმიანობაში ნამდვილად გამიჭირდებოდა.

***რას უსურვებდით საახალწლოდ ჩვენი გაზეთის მკითხველებს?***

–უპირველესყოვლისა, თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს ვუსურვებდი ჯანრთელობას, ბედნიერებას, ხვავს, ბარაქას, ქვეყნის გამთლიანებას, გამრავლებას.

კიდევ ერთხელ ვეფერები ჩემს საყვარელ ხობელებს და ვამაყობ, რომ მათ სამსახურში ერთი ერთგული ჯარისკაცი ვარ.

**ესაუბრა**
**მერი ლაგვილავა**

---

მასწავლებელთა სახელოვანი კოჰორტის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ბატონი მიშა ბასილაია, რომელმაც ნახევარსაუკუნეზე მეტი შეალია ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლების საქმეს. იგი მათემარტიკოსია და წლების განმავლობაში იყო რაიონის მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთაინების ხელმძღვანელი. სწორედ ამ წლებში გამოვლინდა ბატონი მიშას უდიდესი ნიჭი და დიდი ცოდნა მათემატიკის სწავლების დარგში. იგი გაიცნო რაიონის და სამეგრელოს რეგიონის მასწავლებელთა საზოგადოებამ და

# დიდი მოძღვარი



აღიარა როგორც ერთ-ერთი დიდი მათემატიკოსი.

ბოლო წლებში ბატონი მიშა თავის მშობლიურ სოფელში, ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში მოღვაწეობდა. იყო სასწავლო ნაწილის გამგე. იმ წლებში ხიბულის საშუალო სკოლას ხელმძღვანელობდა უდიდესი პიროვნება, ღვაწლმოსილი პედაგოგი, აწგანსვენებული ბატონი კარლო ვარდია, მასთან ერთად გატარებულ წლებს დღესაც დიდი მოწიწებით იგონებს მიშა მასწავლებელი.

მიშა მასწავლებელის მიერ ათობით აღზრდილ მოსწავლეებს შორის ძალიან ბევრია ღირსეული, დაფასებული ადამიანები, რომლებიც დიდი მონდომებით აგრძელებენ ბატონ მიშა მასწავლებლის საქმეს, მათ შორისაა მუნიციპალიტეტში ცნობილი პიროვნება, დიდი პედაგოგი, მათემატიკოსი, ბატონი ალექსანდრე (საშა) არჩაია, ბატონი საშას რეგალიების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ საშა არჩაია 30 წელზე მეტ ხანს ედგა სათავეში ხობის №2 საშუალო სკოლას, არის ხობის საპატიო მოქალაქე, საერო აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრი.

სწორედ ბატონ საშას დაჟინებული თხოვნით გადავწყვიტეთ, მოგვენახულებინა ბატონი მიშა ბასილაია თავის ოჯახში, ახალხიბულაში და დამდეგი შობა-ახალი წელი მიგველოცა. ბატონები საშა არჩაია, ბეჟან ნადარაია, რევაზ ბუკია ვესტუმრეთ მას, სადაც მისი კიდევ ერთი ნამოწაფარი ბატონი ემზარ კვირკვაია დაგვხვდა.

ჩვენს დანახვაზე მიშა მასწავლებელი სიხარულით ცას ეწია, ქართული ტრადიციისამებრ უცებ სუფრა გაიშალა, თამადობა კი ბატონმა ბეჟან ნადარაიამ იკისრა.

ნათქვამია ქართული სუფრა ერთი აკადემიააო, სუფრაზე სადღეგრძელოებთან ერთად ბევრი მოგონებები ითქვა. მიშა მასწავლებელი სიხარულს ვერ მალავდა.

„მე თქვენი სტუმრობით კიდევ რამდენიმე წლით გამიხანგრძლივეთ სიცოცხლე“,–გვითხრა მან. მომავალი წელი მისთვის საიუბილეოა, იგი გაისად 90 წლის გახდება, საიუბილეო თარიღისთვის აქედანვე ემზადება და გვეპატიჟება.

ბატონი მიშა მასწავლებლის ცხოვრება და მოღვაწეობა გმირობის ტოლფასია, იგი საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მარტო ცხოვრობს და მაინც მყარად დგას ახალგაზრდობის აღზრდის სათავეებთან, თავისი ჯანსაღი და ბრძნული აზრებით ეხმიანება განათლების ფრონტზე წამოჭრილ პრობლემებს. მის დაუღალავ და ენერგიულ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, პერიოდულად მის მკერდზე ჩნდებოდნენ სახელმწიფო ჯილდოები... ბატონი მიშა გახლავთ „ხობის საპატიო მოქალაქე“, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო არის ის უსაზღვრო და უნაპირო სიყვარული, რასაც მისი აღზრდილები და საზოგადოება იჩენს ყველასთვის საყვარელი მასწავლებლის მიმართ. მას ეამაყება მისი ვაჟიშვილები, ორივე მეცნიერებათა დოქტორია, ერთი ვაჟი მოსკოვში მოღვაწეობს, მეორე თბილისში. მამის გული ხარობს თავისი ვაჟიშვილების წარმატებებით. მაგრამ ბატონი მიშა სწუხს იმაზე, რომ მისი ერთი ვაჟიშვილი დაუოჯახებელია...

როცა შვილები და შვილიშვილები ჩამოდიან ხიბულაში, მას სიხარულით ცის კარი ეხსნება.

ბატონ საშა არჩაიამ თავის აღმზრდელს ამ სიტყვებით მიმართა: „სიბერე ცხოვრების გვირგვინია და მინდა ამ გვირგვინს ამკობდეს გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვები:

მასწავლებელზე უკეთ ვინ ნახა,
ცხოვრების წინსვლა ნათელფერებით,
მასწავლებელო, მე თქვენ მიყვარხართ,
გკოცნით, გეხვევით და გეფერებით“

და ახლა, როცა მთელ მსოფლიოში ადამიანები ახალი წლის საზეიმო მოლოდინში არიან, ბატონი მიშა ხობელებს, თავის აღზრდილებს, დიდსა და პატარას, სრულიად საქართველოს ლოცავს და ულოცავს ახალი 2018 წლის შემობრძანებას და უსურვებს ქართველ ხალხს ბედნიერებას.

ბატონო მიშა, მრავალ ახალწელს დაესწარით, უფლის მადლი გმოსავდეთ და გფარავდეთ!

**გიგლა კვიკვინია,**
**ისტორიკოსი, საერო აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრი.**

# ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის 2017 წლის ქრონიკები

## ოლიმპიური ჩემპიონები

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ნუგზარ ღურწუმია



–ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში 55 კგ. წონით კატეგორიაში. ბრინჯაოს მედლის მფლობელი, სომხეთის საერთაშორისო ტურნირი დიდებში I ადგილი საერთაშორისო ტურნირი ბაქო–I ადგილი (მწვრთნელები: მამუკა ყორშია, სურაჯ გვასალია, ბაკურ ბუკია).



დავით გვასალია –ბელგრადი (სერბეთი)–ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სკოლის ასაკის ჭაბუკებში 35 კგ. წონით კატეგორიაში. ბრინჯაოს მედლის მფლობელი.



ვარლამ კვარაცხელია–სომხეთის საერთაშორისო ტურნირი დიდებში 80 კგ. წონითი კატეგორია და საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების მფლობელი (მწვრთნელები: ალმასხან ხუნჯუა, ზვიად ჭითაშვილი).



ჯონი ხეცურიანი–ბათუმი მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის 66 კგ.წონითი კატეგორია. III ადგილი.



ირაკლი ნაკაშია–რუსთავი–თ.ყაზარალაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკებში 58 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილის მფლობელი.



გოგა პერტახია–იზმირი (თურქეთი). საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკებში 69 კგ. წონითი კატეგორია–III ადგილის მფლობელი.

### მკლავჭიდი



გენადი კვიკვინია–კატოვიცე (პოლონეთი)–ევროპის ჩემპიონატი დიდებში აბსოლუტური წონა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონატი ბუდაპეშტი (უნგრეთი). მსოფლიო ჩემპიონატი დიდებში აბსოლუტური წონა. ვერცხლის მედლის მფლობელი.

ვილენ ბაბრავა–კატოვიცე (პოლონეთი) ევროპის ჩემპიონატი დიდებში 65 კგ. წონითი კატეგორია. ვერცხლის მედლის მფლობელი.





დათუნა ჟიშკარიანი–კატოვიცე (პოლონეთი). ევროპის ჩემპიონატი 18 წლამდელები, 55 კგ. წონითი კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელი. მსოფლიო ჩემპიონატი ბუდაპეშტი (უნგრეთი)–ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

გიგა კოდუა–მსოფლიო ჩემპიონატი (უნგრეთი) 21 წლამდე ახალგაზრდებში 60 კგ. წონითი კატეგორია–ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ბათუმის საერთაშორისო ტურნირი–ოქროს მედლის მფლობელი.





გულადი (დიტო) ბუკია–მსოფლიო ჩემპიონატი ბუდაპეშტში (უნგრეთი) 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის 60 კგ. წონითი კატეგორიაში ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ( მწვრთნელი კობა თუთბერიძე).

### კარატე (ტაიკვანდო)

ქრისტინე ბუკია–თბილისის ღია ჩემპიონატი ტაიკვანდოში 41 კგ. წონითი კატეგორია. I ადგილის მფლობელი (მწვრთნელი პაატა ოჩიგავა).



### კრივი



ბაკურ ჩიქოვანი–ბულგარეთის ქალაქი ალბენა. ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი 48 კგ. წონითი კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელი (მწვრთნელი ედიკ თოდუა). უკრაინის ქალაქი კოლომია–საერთაშორისო ტურნირი–I ადგილი.

ნიკა ჟაკონია–თბილისი მეორე საერთაშორისო ტურნირი „დკდ-ს თასი“–63 კგ წონითი კატეგორია (მწვრთნელი თემურ აბულაძე).





ანა ხუნჯუა– ბულგარეთი (სოფია) ევროპის ჩემპიონატი გოგონათა შორის 54 კგ. წონითი კატეგორია–მონაწილე. ქ. მარტუნის (სომხეთი) ღია პირველობა I ადგილის მფლობელი.

### ძიუდო



საბა სიჭინავა– მესტია ლერი ნაკანის სახელობის ტურნირი 25 კგ. წონითი კატეგორიაში I ადგილი მოიპოვა (მწვრთნელი მიხეილ მორგოშია).

ირაკლი ლეშსაია– მესტია, ლერი ნაკანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მძიმე წონა, მოიპოვა ბრინჯაო, ნესტორ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირში I ადგილის მფლობელი გახდა.

# ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის 2017 წლის ქრონიკები

## ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები




ხობის საპატიო მოქალაქეობის წოდების მინიჭება



8 აგვისტოს მემორიალთან






„მე რუსთველის ქვეყნიდან ვარ“ 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება



განსაკუთრებული დღე–„ხობი ივენტჰოლი“



თეატრალური დასის სპექტაკლის პრემიერა–„მე, ბებია და ბაბუა“ ნოდარ დუმბაძის „სიცხლის“ მიხედვით.



კონცერტი ხეთის თეატრონზე საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის



მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი სამუსიკო სკოლაში



ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას პროექტის ფარგლებში შეხვედრა პრეზიდენტის რეზიდენციაში ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან



ქ. ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პირველი მაისის ბიბლიოთეკას საჩუქრად 400-მდე წიგნი გადასცა



9 მაისი-ხეთის დიდების მუზეუმი



„ღამე მუზეუმში“



ბვერდები მოამზადა ნაირა ბერაიამ

# საახალწლო ღონისძიებები საბავშვო ბაგა-ბაღებში





26 დეკემბერს ქალაქ ხობის 1 საბავშვო ბაღში შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართა. დარბაზში შეკრებილი მაყურებლის წინაშე სიმღერებით, ლექსებითა და ცეკვებით აღსაზრდელები და პედაგოგები წარსდგნენ.

სადღესასწაულო კონცერტს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

„ჩემო პატარა მეგობრებო, პედაგოგებო, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ულევ სიხარულს და ბედნიერებას. ახალ წელს შობა მოჰყვება, დღე სიხარულისა. ღმერთმა გიმრავლოთ ნათელი დღეები. ჩვენ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი წარიმართოს კეთილმოწყობილ და სასიამოვნო გარემოში",–აღნიშნა მისალოცი სიტყვით გამოსვლისას მუნიციპალიტეტის მერმა.

ამ დღეს, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის, პატარა ფოთის და შავღელეს საბავშვო ბაღში გაიმართა შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და აღსაზრდელებს ადგილობრივი ბიუჯეტით შეძენილი საახალწლო ნობათი დაურიგდათ.





## ვულოცავთ!



**ნუცა (მარიამ) ბუკიას!**

ჩვენო ლამაზო, ნიჭიერო დაიკო, გილოცავთ დაბადების დღეს! შენ უკვე 6 წლის გახდი.

ბედნიერი, ჯანმრთელი და დღეგრძელი ყოფილიყავი. გკოცნით და გეხვევით უთვალავჯერ. გვიყვარხარ!

*ტატა, გოგი, ალექსანდრა.*

## საახალწლო სამზადისი ხობში






## განცხადება

2018 წლის 12 თებერვალს, 14 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189) და 2018 წლის 13 თებერვალს, 12 საათზე. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12) გაიმართება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევთან ევროსტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საშუალო სიმძლავრის ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს აშენებას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში–ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189;

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში–ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12;

შპს „ეკოსპექტრი"-ს ოფისში–ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ.№7;

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს: · გია შავდია. ტელ: 577 76 70 78; E-mail: giashavdia@phasisoil.com ; · ირაკლი კავილაძე. ტელ: 599 97 97 48; E-mail: ikaviladze@eco-spectri.ge ;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „ფაზის ოილი"-ს ადმინისტრაცია.**

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.